საქართველო ღვთის ძღვენი არ გაიცემა სხვაზედა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
28
თებერვალი.
№ 25 (11418)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## გვებრძვიან ყველა ხერხით

კრემლის ახალი აქცია საქართველოს ეროვნული ბრძოლის წინააღმდეგ არის სამარცხვინო — მეორე ყარაბაღი. სისხლი ხომ იღვრება უმიზნოდ და უმისამართოდ, ცალკე კი მთელი ჩვენი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ გაჩაღებულია ჟურნალისტური ომი. იმპერიის სინდის-გარეცხილი, ოცდაათ ვერცხლად გაყიდული ჟურნალისტები რას არ კადრულობენ, ოღონდ შეეწიონ რღვევამდე მისულ ბოროტების მანქანას, როგორმე გაამაგრონ. ისინი საზღვარგარეთაც ახერხებენ გაყალბებული პუბლიკაციების გამოქვეყნებას ყოფილ ოსეთის ავტონომიაზე, კავშირის ყველა რეგიონში ხომ ზედმიწევნით მიმდინარეობს ხალხის „მოწამლვა", რათა ისინი გახაწყონ თავისუფლებისათვის მებრძოლი ერების წინააღმდეგ.

აი, რას გვწერს კემეროვის ოლქში მცხოვრები იქაური პრესის წერილებით გულმოკლული ჩვენი თანამემამულე ნოდარ შურღაია: „დღეს შიდა ქართლში მიმდინარე მსვლელობები ფერმკრთალად მოჩანს საბჭოთა კავშირის პრესა-ტელევიზიაში. ყველგან და ყველაფერში მიკერძოება ჩანს ოსების მიმართ, ლაპარაკის ტონშიც კი. ხშირად პრესაში იბეჭდება ოსთა წერილები. ისინი ქება-დიდებას ასხამენ რუსეთს. კავშირი რომ არა, დაიღუპებოდნენ, კავშირის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენიათ. ყველაფერი ეს კი ცენტრის სასარგებლოდ კეთდება.

მეგობრებო, თანამემამულენო! რატომ სდუმხარ, თქვენც დაწერეთ სრული სიმართლე ამ გავერანებული ქვეყნის პრესაში, თორემ ისინი ბევრნი არიან და ჩვენ გვამტყუნებენ, ქართველებს. ისიც კი არ იციან, რომ ოსები შიდა ქართლის ქართულ, ძირძველ მიწაზე ცხოვრობენ. მიაღწიეთ იმას, რომ ცენტრალური ტელევიზიის საშუალებით გადაიცეს ოსთა ისტორია, თუ როგორ მოხვდნენ ისინი საქართველოში.

აქ, ამ შორეულში ძლივს ვარწმუნებ ჩვენს სიმართლეში ხალხს, და ეს ნერვების დიდი დაძაბვის ფასად მიჯდება. ხუ იფიქრებთ, ნერვებს ვუფრთხილდებოდე, ის მაწუხებს, რომ ჩემი სიტყვები ოკეანეში წვეთია და მიზანს ვერ აღწევს. წერილი გავაგზავნე აქაურ რეგიონულ გაზეთში, მაგრამ არაფერი ჩანს.

ბოლოსდაბოლოს, მთელმა კავშირმა ხომ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა მთავრობამ როგორ მიუბოძა ოსებს ავტონომია?!".

ჩვენი თანამემამულის ეს გულისტკივილი სრულიად გასაგებია ჩვენთვის, მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესების შორიდან მჭვრეტელი კაცის ნათქვამი, წერილი გავაგზავნე, მაგრამ პასუხი არ ჩანსო, ცოტა არ იყოს გულუბრყვილოდ ჟღერს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ნრც იქნება პასუხი.

აი, ასეა დაგმანული სიმართლისთვის პრესის კარები. ბოროტების იმპერიაში განა სხვაგვარად შეიძლება?

ინიციატივის ექო

## ჩვენებ ხორცი შევასხათ

18 თებერვლის გაზეთ „აფხაზეთის ხმაში" გამოქვეყნებულია ენერგეტიკოს მ. ტორუას წერილი, სადაც იგი ეხება ელექტროენერგიით მოსახლეობის უზრუნველყოფის დამატებითი რესურსების გამოყენების მტკივნეულ პრობლემას.

ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკაში ბოლო ხანებში ისახება ტენდენცია გიგანტური ჰესების ნაცვლად მიკროელექტროსადგურების ფართოდ დანერგვის მიზნით. იგი ასეთ კონკრეტულ საკითხს სვამს:

„ხომ არ შეიძლება ღალიძგის ჰესის მშენებლობის განახლება, რომელიც დღეისათვის დაკონსერვებულია. არც ისაა საკამათო, რომ აქ ადგილი ჰქონდა მთელი რიგი დანადგარებისა და მოწყობილობების არადანიშნულებისამებრ გაზიდვას. ფაქტიურად განიძარცვა ობიექტი. მე, როგორც სპეციალობით ენერგეტიკოსს, გ მიჩნდა სურვილი განვაახლო ჰესის მშენებლობა, სახელმწიფო დოტაციისა და პირადი სახსრების ხარჯზე და შემჭიდრობულ ვადაში ჩავაყენო იგი ხალხის სამსახურში, რაც ეჭვს არ იწვევს, რომ როგორც ტყვარჩელის, ისე ოჩამჩირის მოსახლეობას მოუხსნის ელექტროენერგიის დეფიციტს".

რედაქციის მინაწერი:

აღნიშნული კორესპონდენცია ძალაუნებურად აღვიძებს ყოველი ზუგდიდელის გულის სიღრმეში მთვლემარე სურვილს, თუ ნატვრას მდინარე ჩხოუშიაზეც ანალოგიური მიკროელსადგურის აგების თაობაზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ დილეტანტის დონეზე მივანიშნებთ ამის შესაძლებლობაზე. ამასთან, ცნობილი ხალხურიანდაზაც გვაგულიანებს: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. იქნებ აღნიშნული საკითხი სულაც არ იყოს ოცნების სფეროს კუთვნილება. ვიმედოვნებთ, რომ, ეს მცირე ინფორმაცია ჩვენი ქალაქის სპეციალისტებს, აღნიშნული პრობლემით დაინტერესებულ ენთუზიასტებს „ფიქრის საღერღელს" აუშლის და ინიციატივის რეალური ხორცშესხმის გზების ძიებისათვის განაწყობს.

ვიფიქროთ ამაზეც, მეგობრებო! დღეს საქართველოსათვის განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი მამულიშვილის პირად ინიციატივას, რეალურ გზნებას. მით უფრო, როცა ყველას სჯერა: ნებისმიერ საწარმართო თაოსნობას აწ უკვე ვერავითარი ბიუროკრატიული ბარიერი აღარ დახვდება წინ.

## მცირე დანახარჯებით

ნარაზენის ბარაქიან მიწაზე ყველა კულტურა ხარობს.—აქ ჩაისთან ყოველწლიურად ზრდიან მარცვლეულის წარმოებას, ამცირებენ მის თვითღირებულებას. ასე იყო შარშანწინ, შარშან. ამთავითვე ეყრება საფუძველი მიმდინარე წლის უხვ მოსავალსაც.

ხელსაყრელ ამინდებს გონივრულად იყენებენ მინდვრის მუშაობელები. მთელი დატვირთვით მუშაობს ტექნიკა. კოლმეურნეობაში წელს 280 ჰექტარი ეთმობა სიმინდს. დროზე დაიწყო ნიადაგის გაწმენდა ანარჩენებისაგან. პირველი ხვნა დღემდე ჩატარდა 200 ჰექტარზე. სასიმინდე ფართობების დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობენ მექანიზატორები დემურ მესხია, ჯემალ და გიული ბერიშვილები. ისინი დღეში 20-25 ჰექტარს ხნავენ.

გასულ წელს მხვნელ-მთესველებმა თითოეულ ჰექტარზე 40 ცენტნერზე მეტი მარცვლეული მიიღეს, მაგრამ ეს ზღვარი არ არის. წელს თითოეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი მარცვლეულის მიღებას ვარაუდობენ.

სეზონისათვის დროზე დაიწყეს მზადება მეჩაიეებმა. პლანტაციებში დასასრულს უახლოვდება გადაბარვა-გაფხვიერება, სასუქების შეტანა თუ წყალსაწრეტების ამოწმენდა.

კოლმეურნეობაში ფართოდ დაინერგა შრომის პროგრესული მეთოდი იჯარა. ჩანს მისი სიკეთეც. ყველა მოიჯარეს უნდა იმუშაოს მონდომებით, მცირე დანახარჯებით აწარმოოს მეტი ჩაი, სიმინდი, სოიო თუ ბოსტნეული.

კომბინატის მშენებლობისა და მისი მთელი სიმძლავრით გაშვების მოწმე და მონაწილე უამრავია ჩვენს წარმოებაში. ბევრი მათგანი დღესაც შრომობს, ბევრიც ცალმოხდილია და ისვენებს.

ჩვენ, ახალგაზრდებს ვეტერანთა საუბრებით გაგვიგია იმ თავდადებული შრომის ამბები, როგორითაც მუშაობდნენ ჩვენი ბაბუები, მამები, ძმები... ერთი მათგანი — ალექსანდრე ცქიტიშვილი ცხენებშებმული ურმით ეზიდებოდა მაკულატურას საჭირო უბანზე, ხოლო შემდეგ, როდესაც ტექნიკამ უფრო და უფრო მოიკიდა ფეხი, ისიც გადავიდა ცელულოზის წარმოების საამქროში და რამდენიმე ათეული წელი იმუშავა.

შრომასთან ერთად კოლექტივიც შეაყვარა შვილებს. ამიტომაც გამოუწვია აქეთკენ გულმა უფროს ვაჟს—რაუდენს.

მეხუთე ხაშ-ლო სკოლის დამთავრებისა და სავალდებულო სამ

სახურის მოხდისთანავე მოვიდა ბატონი რაუდენი კომბინატში, მას შემდეგ 82 წელი გასულა. დღეს კი რაუდენ ცქიტიშვილი მოწინავე ზეინკალია. ქაღალდის საამქროში თავისი ბრიგადის წევრებთან—დემურ კუტალიასთან, ჯუმბერ ნადარაიასთან და ვიდიკო მიქაიასთან ერთად სულსა და გულს არ აკლებს ქაღალდ საკეთებელ მანქანას. ისინი ძირითადად სარილე განყოფილებას ემსახურებიან. მათი მონდომებული შრომის შედეგად უზრუნველყოფილია მწყობრიდან გამოსული მანქანის ოპერატიული შეკეთება. საქმეს რა გამოულევს, მაგრამ ბატონი რეუდენი გულგრილი როდი რჩება ჩვენს სამშობლოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. იგი გულისტკივილით და აღშფოთებით საუბრობს კრემლის პოლიტიკაზე, იმაზე, რომ იგი უხეშად ერევა რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

რაუდენის ორივე შვილიც—ქალ ვაჟი კომბინატში შრომობენ. ვაჟი—ალექსანდრე დაუსწრებლად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, ქალიშვილი კი ფართო მოხმარების საგნების წარმოების საამქროში მუშაობს.

ასე, ამგვარად, შრომასა და გარჯაში მიდის წუთისოფელი.

სახელოვანი კოლექტივი გვაქვს— ამბობს ბატონი რაუდენი,—ის მცირე წარუმატებლობები, რაც ცხოვრებას მოაქვს, არ მაშინებს, პესიმისტს არ მხდის, პირიქით, ენერგიას მმატებს წინააღმდეგობათა გადალახვისათვის, რადგან მჯერა, მომავალი კეთილი იქნება.

საწარმო და ადამიანები

## მომავალი კეთილი იქნება

ლ. ჯოლოხავა,

[library stamp]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრესა — სიახლეთა პრიზმაში

დაძაბული, მღელვარე ფიქრით, ერთდროულად იმედიანი და შიშნარევი გრძნობებით ცხოვრობს მთელი ქართველი ხალხი. პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა ყოველი სალად მოაზროვნე ადამიანის არსებაში ხვალინდელი დღისადმი რწმენას, თავისუფლების წყურვილს აღვივებს. მაგრამ ამ შინაგანმა, სულიერმა ეიფორიამ, შინაგანი ტაბუახსნილობის განცდამ ერთი წუთითაც არ უნდა მოგვადუნოს და დაგვამშვიდოს. მთავარი სიძნელეები წინაა, ნამდვილი ბრძოლისა და შემოქმედებითი წვის სასპარეზო წინ გველოდება, დაგეგმილ სამუშაოებს, მონიშნულ მიჯნებს ჩემი, შენი, ყველა ჩვენგანის გარჯა-მეცადინეობით უნდა შევხსნას ხორცი. ქალაქისა და რაიონის მშრომელებს ახალი ხელმძღვანელობის იმედი აქვთ. ღრმად სჯერათ ის, რომ ადგილობრივი მართველობა ენერგიულ, ქმედით, არაორდინალურ ღონისძიებებს განახორციელებს რეგიონის დაქვეითებული ეკონომიკის, მართვის მორყეული სტრუქტურების, დაკნინებული ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღებისათვის. ყველაფერი კარგად წავა, საქმეები სასიკეთოდ დაიძვრება წინ, თუ მიმდინარე მომენტის სერიოზულობა ღრმად გავითავისეთ. ყოველმა ზუგდიდელმა უნდა შეიგნოს ისტორიული ვითარების განსაკუთრებული ხასიათი, როგორც სირთულე, ისე ხიბლიც. ხელმძღვანელობისა და აქტივის ურთიერთ თანადგომით უნდა შევძლოთ კოლექტივების მაორგანიზებელი ბერკეტების გონივრულად მომარჯვება, კეთილი ტონუსით ადამიანების დამუხტვა, წარმოებისა და მართვის ახლებური სტრუქტურების უცილოდ დანერგვის რწმენით დიდისა და პატარის დარაზმვა. სინათლე და გარკვეულობა უნდა შევიტანოთ იქ, სადაც ჯერ კიდევ ბევრი დეტალი, თუ ნიუანსი ბოლომდე გარკვეული არ არის.

საქართველოს განახლების ამ ისტორიულ ეტაპზე რთული მისია ეკისრება პრესის მუშაკებსაც. გაზეთს ახლა გვერდით უნდა ამოუდგნენ აქტივისტები, შტატგარეშე კორესპონდენტები. ეს ის კონტინგენტია, რომლებიც უშუალოდ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, ხალხის გულისთქმას გაფაციცებით აყურადებს და ადგილებიდან ცინცხალ, საგულისხმო და უტყუარ ინფორმაციებს გვაწვდის. განა ოდესმე ყოფილა ჩვენი ყოფა ეგზომ მრავალსახა, ავ-კარგიანი, ზოგჯერ პარადოქსული და ზედმიწევნით საინტერესო, როგორც ამჟამად? ალბათ, არა. ამიტომაც გვმართებს ყველას, ვისაც კალამი სჭერია ხელში, სიახლე-მოულოდნელობათა ამ „უძირო ჭიდან" მხოლოდ სიმართლე, თავისი ქალაქის, სოფლის, კოლექტივის წინსვლით დაინტერესებული ადამიანების გულისთქმა, მათი სალხენი და სატკივარი ამოვხაპოთ. დღეს, როგორც არასდროს, საგანგებოდ ფასობს ჟურნალისტური პროფესიონალიზმი, ფაქტის, მდგომარეობის ზუსტად, მკაფიოდ, მწვავედ წარმოჩენის ალღო. საგაზეთო პლურალიზმი ყველას აძლევს თავისი მოსაზრების, პოზიციის გამოხატვის საშუალებას. დაიბეჭდება ყველაფერი, რაც საქართველოს სიყვარულით, კეთილმოსურნე პირის გულწრფელი მრწამსით იქნება ნაკარნახევი. ვეცადოთ, კრედოდ ვაქციოთ ერთი შეუვალი პრინციპი: დავა, კამათი, აზრთა სხვადასხვაობა არამცდაარამც არ გადაგვეზარდოს ურთიერთ მტრობაში, სიძულვილში, ხაზიმ კონფრონტაციაში. ტანჯვით, თანდათანობით, ურთიერთმოთმენით [illegible]ოთ თანხმობის, კონსენსუსის გზა, რაც მცირედსა, თუ დიდში დღეს ასე საშურია საქართველოსათვის.

# როგორიც სამშობლოს სჭირდება

წლების მანძილზე ვწერდით და ხმამაღლა ვამტკიცებდით: საშინაო პირობები ჩვენში სტაბილურია და ამ თვალსაზრისით არმია არ გვჭირდებაო. ეს იყო, რა თქმა უნდა, ზერელე მიდგომა სინამდვილეში არსებული პრობლემისადმი, რომელიც უნიტარული სახელმწიფოს პირობებში ერთგვარად მიჩქმალული იყო. ფაქტიურად ეს იყო ერთაშორისი ურთიერთობის სფეროში მთელი რიგი მოუგვარებელი საკითხებისადმი მოჩვენებითი შირმის წაფარების მავნე პრაქტიკა. ახლა ამ წინააღმდეგობებმა მთელი სიმწვავით იჩინა თავი. ავილოთ თუნდაც სამაჩაბლოში მიმდინარე რთული პროცესები. იმპერიული მესამე ძალა აშკარად დაინტერესებულია იმით, რომ ოსი და ქართველი ხალხის მორიგება უსაშველოდ გაჭიანურდეს, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბოს. რაში აძლევთ ეს ხელს? უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ შეფერხდეს, ჩიხში მოექცეს საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. მაგრამ ქართველი ხალხის ნება საქვეყნოდ გაცხადდა ოქტომბრის თვეში. იგი ხელისუფლების სათავეში მოსულ ახალ ძალებს სრულ ნდობას უცხადებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ მოპოვებულის დასაცავად, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის გასაღრმავებლად. ამ მიზნით არის მიღებული დადგენილება ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების თაობაზე. ჩვენი ხალხი ერთი წუთითაც არ დაუშვებს იმას, რომ მის საშინაო საქმეებში ბინძურ ხელებს აფათურებდნენ გარეშე ძალები. ქვეყნის მთლიანობას საფრთხეს უქმნიდნენ შინაური მტრებიც. სწორედ ეს მომენტი გვკარნახობს ადგილებზე უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ ახალი თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებს. თითოეულმა ქართველმა ჭაბუკმა სწორად უნდა გაიცნობიეროს თავისი მამულიშვილური ვალი და მტკიცედ უნდა ჩადგეს სამშობლოს დამცველთა სამსახურში.

ვიმედოვნებ, რომ ეროვნულ გვარდიაში ახალგაზრდების გაწვევა სწორად, გეგმაზომიერად წარიმართება და გვეყოლება ის სამხედრო ფორმირება, რაც დღევანდელ საქართველოს ასე სჭირდება.

ზ. ბზუგავა,
ჩვენი კორ.

# იქმნება საქართველოს ეროვნული გვარდია

საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანების შეჩერების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების ქუჩებში მილიციის მუშაკებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლების ერთობლივ პატრულირებას.

გადაწყდა აგრეთვე 1991 წელს მოხდეს რესპუბლიკის შინაგანი სამსახურის ჯარების—ეროვნული გვარდიის რიგებში წვევამდელთა გაწვევა. ეროვნული გვარდია, რომელიც აქ იქმნება, მოწოდებულია დაიცვას სამშობლოს ინტერესები, მისი ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

გაწვევის შესახებ დროებითი დებულების თანახმად, რომელიც გაზაფხულზე მოხდება, ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნებიან საქართველოს მამრობითი სქესის მოქალაქენი, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ, აგრეთვე წვევამდელები 25 წლის ასაკამდე, რომელთაც დაკარგეს სამხედრო სამსახურში გაწვევის შეღავათებისა და გადავადების უფლებები. დაკმაყოფილდება აგრეთვე თხოვნა სამხედრო მოსამსახურეთა ჩარიცხვის შესახებ შინაგანი სამსახურის ჯარების—ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში, რომელთაც თვითნებურად დატოვეს საბჭოთა არმიის რიგები.

სამხედრო სამსახური, რომლის ვადაც განსაზღვრულია ორი წლით, ჭაბუკები გაივლიან საქართველოს ტერიტორიაზე. ეროვნულ გვარდიაში სამსახურისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც გადიან ან უკვე გაიარეს ალტერნატიული სამსახური, აგრეთვე ოჯახური მდგომარეობის გამო ის წვევამდელები, რომელთა კმაყოფაზეც იმყოფებიან მეუღლე და შვილები, შრომისუნარმოკლებული მშობლები, დები და ძმები. სავალდებულო სამხედრო სამსახურში არ გაიწვევენ აგრეთვე დედისერთებს.

(საქინფორმი)

მკითხველი ასე ფიქრობს —

# გონივრულად ვმართოთ

ჩვენი ეკონომიკა რომ სულს ღაფავს, ყველასათვის ცხადია. მის მიმართ განხორციელებულმა სახელმწიფო მონოპოლიამ, წარმოების სტრუქტურებისადმი დოგმატურმა მიდგომამ გამოიწვია მუშა კაცის გაუცხოება სამუშაოსაგან. ვერ იპოვა რა თავისი შრომის მასტიმულირებელი ეკონომიკური დაინტერესება, იგი ფაქტიურად იქცა წარმოების დანამატად. კარგია, რომ ასეთ ვითარებას უკვე გამოუჩნდნენ თავგამოდებული კრიტიკოსები. მუშავდება სხვადასხვა მოდელები, სტრუქტურები, რომლებიც ეკონომიკის მრავალნაირ ფორმებს უხსნის მწვანე გზას. საკუთრების ლიბერალიზაციის ეს კურსი უცილოდ მიგვიყვანს სახალხო მეურნეობის რადიკალურ გარდაქმნამდე, შრომის ნაყოფიერების ამაღლებამდე, პროდუქტების სიუხვემდე. სწორედ ამის მოლოდინშია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს უზენაესი საბჭოსაგან, სადაც კომპეტენტური პირების ერთობლივი ძალისხმევით მუშავდება კანონები მიწის შესახებ, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტები.

მინდა ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო კოოპერატივების მიმართ. არ შემიძლია გავიზიარო იმათი პოზიცია, ვინც საერთოდ ზიზღს გამოთქვამს კოოპერაციული მოძრაობის მიმართ. პირიქით, კოოპერატივების სახით ახალი, ღონიერი შენაკადი გაუჩნდა საქართველოს ეკონომიკას. ოღონდ მთავარია მას საფუძვლად ედოს პირადი შრომა და გერგილიანობა და არა კომერციული ავანტიურა, როცა ბევრი ფულის მოხვეჭა იქცევა თვითმიზნად. კოოპერაციულ მოძრაობას იმთავითვე აემჩნევა ერთი დასანანი და სიმპტომატური ნაკლი: მეტწილად გატაცებული არიან საფუნთუშეებით, სამწვადეებით, ხალობითი და ა. შ. კი ბატონო, ამაშიც არაფერია დასაძრახი, თუ კი საკუთარ დამხმარე მეურნეობას მოაწყობ, საკუთარი ხელით მოწეული პროდუქციით მოემსახურები კლიენტს. თორემ რა გამოდის: კოოპერატივების მკვებავ წყაროდ ფაქტიურად საკოლმეურნეო ბაზარი და ცალკეული სავაჭრო ობიექტებია ქცეული. ასეთი მდგომარეობა კი ქალაქში არსებულ დეფიციტს კიდევ უფრო მეტად ამწვავებს.

განა არ აჯობებს უფრო გავაფართოოთ ხალხური რეწვის სახეობები, ყოველდღიური მოხმარების საგნების წარმოება, ეს საკითხი საბოლოო დახვეწას მოითხოვს. სწორ, კანონიერ ფარგლებში მოქცეული კოოპერატივები უდაოდ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, წინ წასწევენ ჩვენს ეკონომიკას.

ზ. გუგუშვილი,
პედაგოგი.

მრეწველობა

# შეფერხებით მუშაობენ

მზა პროდუქციის გამოშვების რითმი ობიექტური მიზეზების გამო დაირღვა. დღეს ჩაის კომბინატი „ოდიში" ერთ ცვლად მუშაობს და უშვებს დაფასოებულ ბაიხის ჩაის, რისთვისაც ფუნქციონირებენ დამფასოებელი, საკუპაჟო და მექანიკური საამქროები (უფროსები რეზო ხუბულავა, ინეზა ძანძავა, გენადი ფიფია).

ელექტროენერგიის დეფიციტმა შეაფერხა საამქროთა მუშაობა.

არის სხვა ხელშემშლელი ფაქტორებიც როგორიცაა ნედლეულისა და ტარა მასალის ეტიკეტების დეფიციტი

შარშან კომბინატს გეგმით მომხმარებლისათვის უნდა მიეწოდებინა 11 ათასი ტონა დაფასოებული ბაიხის ჩაი, ფაქტიურად გამოშვებულ იქნა 9.954 ტონა და გეგმის შესრულებას დააკლდა 1046 ტონა.

წელს ნავარაუდევია 8.200 ტონა დაფასოებული ჩაის გამოშვება, აქედან იანვარში—500, თებერვალში—200 ტონა. ფაქტიურად იანვარში გამოშვებულია 464 ტონა, ხოლო თებერვალში (დღემდე) 200 ტონა.

თუ კი მარტში ელექტროენერგიით მიწოდებაში არ გვექნება შეფერხებები, აღმოიფხვრება დარღვევებიც პროდუქციის გამოშვების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაოსნობა მისაბაძია: ვინ იქნება შემდეგი?

# დამნაშავეობას ერთობლივად ვებრძოლოთ

დღეს რესპუბლიკაში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაა შექმნილი. წინააღმდეგობებით სავსე ხანაში გვიხდება ცხოვრება და საქმიანობა. მაგრამ ეს უაღრესად საინტერესო პერიოდია ჩვენი განვითარების ისტორიაში, რამეთუ ინგრევა ძველი დრომოჭმული სტერეოტიპები, რომელიც გზას უთმობს ჩვენს შეგნებაში დემოკრატიის, ჰუმანიზმისა და მოქალაქეობრივი იდეალების დამკვიდრებას.

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის, საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობისა და ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან სამართალდამცავმა ორგანოებმა და განსაკუთრებით შინაგან საქმეთა განყოფილებებმა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ოპერატიული მდგომარეობა შარშან ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე ძალზე გართულდა. წინა წელთან შედარებით 2-3-ჯერ იმატა დანაშაულის ისეთმა სახემ, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება. საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა მოქალაქეთა ძარცვის, ყაჩაღური თავდასხმის და ქურდობის მხრივ. აღნიშნული დანაშაულის რიცხვმა შარშან კულმინაციურ წერტილს მიაღწია. დანაშაულის ასეთი მატება არასოდეს არ ყოფილა. და ეს მაშინ, როცა მომხდარი ყველა დანაშაული შეხაძლოა არც კი იყოს აღრიცხული. უნდა ითქვას, რომ გასულ წლებში შინაგან საქმეთა ორგანოები ხშირ შემთხვევაში მალავდნენ დანაშაულს. არ აფიქსირებდნენ მას. ხელოვნურად, მოჩვენებით მონაცემებს აკოწიწებდნენ და გზავნიდნენ ზემდგომ ინსტანციებში. ეს კი იყო ერთგვარი ხერხი იმისათვის, რომ რაიონები არ მოხვედრილიყვნენ ევროთწოდებულ დაზიანებულ რეგიონთა რიცხვში.

საყურადღებოა ერთი ფაქტი. თუ ადრე დამნაშავე ელემენტებს ასე თუ ისე ნაკლებად ჰქონდათ იარაღი, ამჟამად კი ყველა საეჭვო პირი შეიარაღებულია. იარაღი ხელთ აქვთ არასრულწლოვნებსაც. სწორედ ამიტომ არის, რომ კატასტროფულად იზრდება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობების რიცხვი.

ახლა, როცა ასე მკვეთრად გაუარესდა ოპერატიული მდგომარეობა, შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკებს საშტატო ერთეულის სიმცირის გამო უჭირთ მომხდარი დანაშაულის დროული გახსნა და მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილება. უნდა ვაღიაროთ, რომ ამის მიზეზი მარტო საშტატო ერთეულის სიმცირე კი არა შინაგან საქმეთა განყოფილების ზოგიერთი მუშაკის დაბალი პროფესიონალიზმიცაა. მიმდინარე წლის დასაწყისიდან მუშაობა გაძლიერებულია, მაგრამ იგი არ არის საკმარისი. დანაშაულის ასეთმა მატებამ აიძულა მოსახლეობის ნაწილი გამოსულიყო ქუჩაში და ჩვენთან ერთად მიელო ზომები მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

მოსაწონი და მისაბაძი ინიციატივის თაოსნებად მოგვევლინენ კახათელი მშრომელები. სოფლის მცხოვრებთა ერთობლივი გადაწყვეტილებით აქ ყოველდღე დაწესებულია საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მორიგეობა. მათთან არის უბნის ინსპექტორი. ამ დღეებში ქალაქის ტერიტორიაზე საბჭოს ქუჩის, ნაწილობრივ პავლოვის, შენგელიას ქუჩის მცხოვრებლებმა შექმნეს 80 კაციანი ჯგუფი, რომლებიც მილიციის მუშაკებთან ერთად მთელი ღამე მორიგეობენ, ამოწმებენ დასახელებულ ქუჩებში შემჩნეულ საეჭვო მანქანებს და პირებს. თუ ადრე ღამეც და დღისითაც ქუჩებში ისმოდა სროლები, ადგილი ჰქონდა საეჭვო პირების თარეშს, ამჟამად მორიგეობის დაწესების შემდეგ ასეთ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

კარგი საქმე გააკეთეს ცაიშელებმაც. სოფლის ერთ ყველაზე დაზიანებულ უბანში შემოიღეს მორიგეობა. ყოველდღიურ კონტროლზე ჰყავთ აყვანილი ყოველი საეჭვო პირი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტრანსპორტს—კერძო ავტომანქანებს. კარგია, რომ თვითონ მოსახლეობამ ითავა სოფელში იყოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი.

კახათისა და ცაიშის მშრომელთა ეს პატრიოტული თაოსნობა საყოველთაო მიბაძვის ღირსია. ჩვენ მათთან ერთად ვატარებთ ღონისძიებებს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონულმა განყოფილებამ არაერთხელ გააფრთხილა წარმოება-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები, რათა მათდამი დაქვემდებარებული ობიექტები მეთვალყურეობის გარეშე არ დატოვონ, დააწესონ ღამის საათებში მორიგეობა, ეს მითითება მაინც არ სრულდება. ზოგიერთ სოფელში საღამოს 7-8 საათის შემდეგ ვერც ერთ ხელმძღვანელ მუშაკს ვერ ნახავ. ან რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ სოფელში ბევრგან არ ჰყავთ ღამის დარაჯები, უმეთვალყურეოდ არის მიტოვებული მატერიალურ ფასეულობათა შესანახი საცავები, სავაჭრო და საზკვების ობიექტები. და თუ ვინმე იცავს ზემოთდასახელებულ ობიექტებს, უმეტეს წილად 80 წელს გადაცილებული მოხუცია, რომელსაც თვითონ სჭირდება დაცვა.

საგანგაშო მდგომარეობაა ავტომანქანების ავტოფარეხებში. აქ ღამის საათებში ავტომანქანებს თითქმის არავინ აყენებს. არავითარი კონტროლი არ არის დაწესებული ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, არა და დანაშაულიც სწორედ ამ კონტროლს მოკლებული ავტომანქანებისგან არის მოსალოდნელი. რამდენჯერ უნდა იქნან გაფრთხილებული მძღოლები და მანქანის მფლობელი ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომ სახელმწიფო ავტომანქანების კერძო პირთა ეზოებში დაყენება სასტიკად აკრძალულია. საჭიროა ადგილებზე კონკრეტული ღონისძიებები გავატაროთ ამ მიმართულებით წესრიგის დასამყარებლად. აუცილებლად მიგვაჩნია სოფლებში და ქალაქის ოპერატიულად დაზიანებულ უბნებში დაწესდეს საზოგადოების წარმომადგენლების მორიგეობა, რასაც ჩვენის მხრიდან ექნება მხარდაჭერა და თანადგომა. თითოეულმა ხელმძღვანელმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ისინი პასუხს აგებენ სახელმწიფო ქონების დაუცველობაზე, დაუდევრობის ნიადაგზე მის განიავებაზე.

იმედი გვაქვს, რომ სოფლების —კახათის, ცაიშის, შენგელიას, საბჭოს და პავლოვის ქუჩების მცხოვრებთა ინიციატივას მხარს აუბამენ ზუგდიდელი მშრომელები და ჩვენთან ერთად იბრძოლებენ საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად.

**ვ. ჭაჭუელია,**
შინაგან საქმეთა საქალაქო რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე- პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში, მილიციის მაიორი.

მცირე პატივს მიაგებს

# აღესრულა თამარ წულუკიძე

ამ დღეებში საქართველოს მიწამ მიიბარა უდიდესი ქართველი რეჟისორის, ტრაგიკულად დაღუპული სანდრო ახმეტელის მეუღლის, ნიჭიერი ქართველი მსახიობის თამარ წულუკიძის ნეშტი.

მკითხველებს ვთავაზობთ მცირე ფრაგმენტს თ. წულუკიძის წიგნიდან: „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“:

სადაც რომ არ მოხვედრილიყო სანდრო ახმეტელი, ყველგან ძალაუნებურად იპყრობდა ყურადღებას. მის სახეში, მის არსებაში იყო რაღაც მნიშვნელოვანი, არა გარეგნული და ნაძალადევი, რასაც არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით თეატრალურ სამყაროში, არამედ ბუნებრივი და თანშობილი. ეს გახლდათ ნიშანი არაჩვეულებრივი ნიჭიერებისა და ბედისა.

ბეჭებგანიერი, ლამაზი აღნაგობის, მხრებზე ამაყად „მჯდარი“ თავით ის ერთი შეხედვით მოგეჩვენებოდათ ჯმუხ კაცად, მისი გამორჩეული სიმსუბუქე, ვაჟკაცური გრაცია და პლასტიკურობა რომ არა. პირველი შეხვედრისთანავე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა პირდაპირი და მკაცრი გამოხედვა, მტკიცე ხელისჩამორთმევა და სრული გულგახსნილობა, რითაც იხიბლებიან ხოლმე სუფთა გულის, გაბედული, ნებისყოფიანი ადამიანები. ასეთებს არ ეხერხებათ მამებლური პოზაში დგომა მაყურებელთა წინაშე.

ამგვარი მშვიდი და თავისთავადი მანერების გამო ბევრნი მას მიიჩნევდნენ თვითდაჯერებულ, ამპარტავან პიროვნებად. მაგრამ საკმარისი იყო უფრო ახლოს გაგეცნოთ, რომ უმალ შეგეცვლებოდათ შთაბეჭდილება.

სიამაყე და დამოუკიდებელი ხასიათი საერთოდ გამოარჩევთ მის თანამემამულეებს— ქიზიყელებს, ამომავლით საქართველოს ამ მკაცრი და მშვენიერი კუთხის მკვიდრთ. მდიდარი და თავისუფალი ბუნების წიაღში შობილს, სანდროს თავადაც ახასიათებდა თავისუფლებისმოყვარე სული, სტიქიურობა, თვითმყოფადობა. თითქოსდა ფიზიკურადაც ვერ იტანდა სივიწროვეს, დახშულ, შეზღუდულ სივრცეს. უყვარდა, როცა მის გარშემო გრძნობდა თავისუფალ არეს, ბევრ ჰაერს, სინათლეს, მოძრაობას.

იქნებ ამიტომაც იყო, რომ მის სპექტაკლებში მეტწილად ჭარბობდა დიდი, მასშტაბური კონსტრუქციები.

ადამიანებს შორისაც ის ყველაფერზე მაღლა აყენებდა ხასიათის სიფართოვეს, პირდაპირობას და პატიოსნებას, შეხედულებათა სიმყარეს. ის თაყვანს სცემდა სრულყოფილებას, სილამაზეს და ვაჟკაცურ ძალას, მაგრამ... „ყოველივე ეს ფუჭია, თუ ადამიანს არ ამკობს მაღალი გონიერება, დიდსულოვნება, პრინციპულობა,— ის მთავარი, რაც ასე განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან“. —ასეთი იყო სანდრო ახმეტელის კრედო.

ამ თვისებებს აფასებდა იგი თავის თანამშრომლებში, მსახიობებში და ყოველნაირად ცდილობდა ამის ჩანერგვას ახალგაზრდებში. სადაც არ უნდა ყოფილიყო, სტუდიაში ლექციაზე, თეატრში, თუ მის გარეთ, იგი ყოველთვის პოულობდა საიმისო საბაბს, მომენტს, რომ ირგვლივ მყოფთათვის შეეხსენებინა არტისტის ეთიკის შესახებ.

ჩემის აზრით, ყველაფერზე ძვირფასი, რასაც იგი აღწევდა მსახიობების აღზრდის სფეროში, ეს იყო ყურადღების გამოჩენა, გულისხმიერება ადამიანებისადმი და პირველ რიგში, ერთმანეთის მიმართ.

ის თვითონ გახლდათ საოცრად გულითადი ადამიანი და ეს განაპირობებდა მის სულიერ დელიკატურობას, ფაქიზ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, მეტადრე —ამხანაგებისადმი, მეგობრებისადმი.

მახსოვს, ერთხელ ტბაზე კოფნისას ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა მომავალი პრემიერის მოსამზადებლად. ამ დროს, თბილისში, წამყვან მსახიობს ხორავას უბედურება შეემთხვა: მოუკვდა ერთადერთი შვილი.

სანდრო ახმეტელი მოწყდა ადგილიდან, პიესაზე მუშაობა დააკისრა რეჟისორ შოთა აღსაბაძეს, თვითონ კი თბილისს მიაშურა.

—მე მეგობრის გვერდით უნდა ვიყო. უჩემოდ მას გაუჭირდება ამ უბედურების გადატანა.

# მდგომარეობა ცხინვალში

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრისა და საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ცნობით უკანასკნელ დღეებში მდგომარეობა ცხინვალში კვლავ დაძაბულია. ოსი ექსტრემისტები ჯგუფჯგუფად თავს ესხმიან მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას და არბევენ მათ ოჯახებს. ძარცვავენ და შემდეგ ცეცხლს უკიდებენ სახლებს. 22 თებერვალს საქართველოს მილიციის შენობას და ავტოინსპექციის სავუშაგოს ცეცხლი დაუშინეს ოსმა ექსტრემისტებმა.

24 თებერვალს კი ბანდიტების დანაშაულებრივმა მოქმედებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ექსტრემისტებმა დაარბიეს და ააწიოკეს ზნაურის რაიონში მცხოვრებ ქართველთა ოჯახები. მოკლულია 7 კაცი, დაჭრილი და ჰოსპიტალიზებულია 10 კაცი. მძევლად იქნა აყვანილი რამდენიმე ქართველი. მათ შორის იყვნენ მილიციის მუშაკები.

ტყვეობიდან დახსნილები ყვებოდნენ თუ როგორი სადისტური მეთოდებით აწამეს ისინი მძევლად ყოფნის პერიოდში ოსმა ექსტრემისტებმა.

პედაგოგიური ურთიერთობის პროცესში პედაგოგი მიისწრაფვის იქითკენ, რომ პროგრესულად მოაზროვნე, სრულყოფილი ადამიანის იდეალის შესაბამისად განავითაროს, ჩამოაყალიბოს აღსაზრდელი. ამას იგი ახორციელებს საკუთარი პედაგოგიური პიროვნების უნიკალურ თვისებათა შემწეობით, აგრეთვე აღზრდისა და სწავლების მეთოდიკათა ზედმიწევნით ცოდნით. სამართლიანად უწოდა პედაგოგიურ ურთიერთობას ლ. ტოლსტოიმ „სკოლის სული". ეს სული აუცილებელი პირობაა გონებრივი საკვების მისაღებად სკოლაში. იგი საპირისპირო მოქმედებაშია იძულებასა და საბკოლო რეჟიმთან.

პედაგოგიური ურთიერთობა სკოლაში მრავალფეროვანი ფორმითა და სხვადასხვაგვარ სიტუაციებში ალმოცენდება: გაკვეთილზე, დასვენებისას, გაკვეთილების შემდეგ, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დროს. თუ ეს ურთიერთობა მოკლებულია პედაგოგის გულწრფელობას და თავდადებას, მაშინ იგი პედაგოგიურ ურთიერთობად აღარ ჩაითვლება. პრობლემა ისაა, რომ ეს „სული" გაეცეს აღსაზრდელებს,

მასწავლებლის ტრიბუნა

# თანამშრომლობის პედაგოგიკით დავძლიოთ

ხოლო ამ გზაზე შეიძლება წარმოიშვას სპეციფიკური დაბრკოლებები. საქმე ისაა, თუ როგორ, რა ხერხებითა და საშუალებებით იქნება ეს წინააღმდეგობები დაძლეული, გადალახული.

სკოლის მუშაობის ყველაზე რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე უბანია აღმზრდელობითი მუშაობა. „ნამდვილ აღმზრდელს" მიანს ბავშვს მხოლოდ წინსვლისაკენ ლტოლვა, თუნდაც გზაზე ციცაბო მთები იყოს აღმართული"— წერდა სუხომლინსკი.

განსაკუთრებულ კონფლიქტებს იწვევს ის სიტუაციები, რომელიც აღმზრდელისა და აღსაზრდელის უშუალო ურთიერთდამოკიდებულებაში აღმოცენდებიან. ზოგჯერ ეს კონფლიქტები ისეთ კულმინაციას აღწევს, რომ სუსტი ნებისყოფის აღმზრდელი წონასწორობას კარგავს და ისეთ მეთოდს მიმართავს, რომელიც საერთოდ აქარწყლებს აღზრდის ეფექტს. ამიტომ დღეს სკოლა პედაგოგისაგან მოითხოვს სრულყოფილ პედაგოგიურ ცოდნას, კულმინაციური პედაგოგიური ხელოვნების ფლობას, დიდ, ხანგრძლივ მოთმინებას.

რა არის კონფლიქტების მიზეზი?

აღმზრდელობით მუშაობაში კონფლიქტების მიზეზია ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელშიც აღზრდის პროგრესის შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნებაა მოქცეული. აღზრდის პროცესში წარმოშობილ კონფლიქტებს დიდმა ქართველმა ფსიქოლოგმა დ. უზნაძემ „აღზრდის ძირითადი ტრაგედია" უწოდა. „აღზრდის ტრაგედია" მდგომარეობს შემდეგში: ინდივიდუალურ თავისებურებათა შიდევად აუცილებელია, რომ სასწავლო მასალა მოსწავლეებს სხვადასხვა ხერხით გადაეცეს და აი, აქ ალმოცენდება წინააღმდეგობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ყველასათვის გამოყენებული ერთი მეთოდი ან ხერხი ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეებს. მასწავლებელი მიმართავს იძულების ხერხს. იძულება კი ჰკლავს თავისუფალ სურვილს, ინტერესს, მისწრაფებებს, ურომლისოდაც სწავლა ნაყოფიერი ვერ იქნება. ამგვარ სწავლებას მოსწავლეები გაურბიან და აი, ალმოცენდება ტრაგედია: ყველა მოსწავლის მიმართ მასწავლებლის მიერ გამოყენებულ სიკეთეს მოსწავლეებზე დებულობენ [illegible] მიმართულ [illegible].

დაახლოებით [illegible] ცნობილია, რომ ბავშვი დღევანდელობით ცხოვრობს. მისთვის ძვირფასია აწმყოში მიღებული სიხარული და კმაყოფილება, იგი მუდამ თავის აქტუალურ მოთხოვნილებათა ტყვეობაშია. მას არ შეუძლია ეს მოთხოვნები ხვალისთვის გადადოს. პედაგოგს მოთმინება, მოზარდმა დღევანდელობაზე უარი თქვას, რათა მომავალში სტაბილური და ხანგრძლივი კეთილდღეობა გაინაღდოს, მაგრამ მას არ ძალუძს ამის გაკეთება, რადგან დღევანდელი სიხარული არის მისი ბუნების მოთხოვნილება. იგი უჯანყდება აღმზრდელს ან გაურბის მას. შეიძლება თუ არა „აღზრდის ტრაგედიის" დაძლევა?

აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის პედაგოგიური ურთიერთობა უნდა იყოს პატივისცემაზე და სიყვარულზე აგებული. სწორედ თანამშრომლობის პედაგოგიკით არის შესაძლებელი „აღზრდის ტრაგედიის" დაძლევა.

ა. ლურჭაია.

რედაქტორი
ა. შანტურია.

## განცხადებები

წიგნის სარეალიზაციო კოოპერატივი „იაკობი" აწარმოებს ხელმოწერას კომპლექსურ გამოცემებზე:

I —კომპლექსი—„ფანტომასი" —ილუსტრირებული ფრანგული დეტექტივი.

II— კომპლექსი: „ნათლიმამა" მ. პაუზის დეტექტივი იტალიურ მაფიაზე (1—II ტ). „ოკულტიზმი"—ადამიანში არსებული ფარული მაგია, „ქირომანტია"—ხელისგულზე მკითხაობა, „ბედისწერა" —ბოლო ოც წელს გარდაცვლილ ავტორთა შემოქმედება.

III—კომპლექსი:— „უნივერსალური საოჯახო წიგნი". „იყო და არა იყო რა"—ქართული ხალხური ზღაპრებისა და ლეგენდების კრებული. „მრისხანების მტევანი"—ჯ. სტაინბეკის საუკეთესო რომანი. „ვის უხმობს ზარი"—საქართველოს სატკივარი.

ყველა წიგნი ილუსტრირებულია.

მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის 91. სასტუმრო „ოდიშის" პირველი სართული.

### კერძო მანქანების მფლობელთა საყურადღებოდ!

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია მოსახლეობის მომსახურების მიზნით 1 მარტიდან სამუშაოდ იწვევს კერძო მანქანების მფლობელებს. თვიური შესატანი შეადგენს 60 (სამოც) მანეთს, გათვალისწინებულია საბურავებითა და საწვავით მომარაგება.

მსურველებს ვთხოვთ მიაკითხონ შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, გორკის ქ. №23. სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია. ტელეფონი 2—67—97.

---

ძმა გურამი კუკავა. რძალი ნელი ჯაბუა შვილებით თამუნა და თენგიზით იუწყებიან

**ორდენ პართეს ძე კუკავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 მარტს სოფელ ხამისქურში (ხობის რაიონი.)

---

მეუღლე მოჯო. შვილები: ენვერი. ზურაბი. რენო მამფორიები. და გული. რძლები: ია კოკაია. ქეთინო ოთხოზორია. ხათუნა სიჭინავა. შვილიშვილები ირაკლი. ბაჩანა. ზურაბი და მარიკა იუწყებიან

**ნაზო (მარგალიტა) სოლომონის ასულ კუკავა-მამფორიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 მარტს სოფელ ორულში.

---

მამიდაშვილი თათუშა ლურჭაია. ბიძაშვილები: კოტე. პავლუშა. საშა. ვალერი. მოკონა ნარუშვილები იუწყებიან ბიძაშვილის

**აბიკო გრიშას ძე ნარუშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ოლგა. შვილები თალიკო. იაშა. და თამარა. რძლები: ნანული ერანგია. ნესტანი ხასაია. სიძეები: გვეჯე სიჭინავა. ზაურ გულორდავა. მერაბ ტაბალუა. შვილიშვილები: ნანი. ნუგზარი სიჭინავები. მაია. ნინო. ქეთინო ფაჟავები. შვილთაშვილები ზაზა. მალხაზი. ანა. დათა. ნუკრი. ხატია. დისშვილები ნომი. მერი. ბოჩო. გულნარა შედანიები. ვალიკო. შუხუზი. ნოდარი. იაშა. ზოია. ლეილა. ლონდა წიწავები. ჟორა ფაჟავა. ბიძაშვილები, მამიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**გრიშა (ტური) მიხეილის ძე ფაჟავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28 თებერვალს. 1, 2 მარტს. დაკრძალვა 3 მარტს 5 საათზე სოფ. კახათში.

---

კამო. სულხანი. ნატო წითაშვილები ოჯახით იუწყებიან ბაბუას

**ბოჩია იზორიას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ლარისა კოდუა. დედა თაციკო. მამა აბიბო. შვილები მამუკა. გიზო. დები: იამზე. მანანა. მამიდა გული. ბიცოლა ჟუნა. ბიძია საშა კობახიძე, სიძე ჟორა სარუა. დისშვილები: ნანი. გია. ბიძაშვილი რევაზ ბუაძე. სიდედრი კატუშა. სიმამრი ჟორჟი. ცოლისდები: სვეტლანა. როზა. ნელი. ცოლისძმა ტარიელ კოდუა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**იურა (კიკი) აბიბოს ძე ბუაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2. 3 მარტს. დაკრძალვა 5 მარტს. გამოსვენება ზუგდიდი, კოლხეთის (ლენინის ქ.) 115.

---

მეუღლე ნუცა. შვილები გალაქტიონი, ზაური. ძმა კოლია. რძლები ნორა გაბისკირია, დალი სართანია. ციური კუჭავა. შვილიშვილები: ჯამბული. თორნიკე. ონისე. ნონა. ელისო. როზა ზარანდიები. ძმისშვილები: ჯემალი. ჟიული. მოკონა. დისშვილები: რეზო. სულიკო. ნელიკო. კლარა. მზია ღვინჯილიები. პეპიკო. ლეილა. ჯული. იზო წარიები. სიძეები ელგუჯა გაბისონია. რომანი ცაავა. გარიკი აზიზიანი. ცოლისძმები გურამი. ვინორი შამუგიები. ცოლისდები ნათელა. ლამარა. დოდო. გრაფაშა შამუგიები. შვილთაშვილები, ბიძაშვილები. დეიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**შალვა ონისიმეს ძე ზარანდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3. 4 მარტს. დაკრძალვა 5 მარტს ს. დიდინეძში.

---

შვილები: ჯემალი. შურა. მერი. ნესტანი. და ბაბუცა. რძლები: ავრორა. ეთერი. ნორა. ფაციკო. ფოთო. შვილიშვილები: მიტუშა. გია. მაყვალა. ბელა. გელა. გოგლა. იაშა. ჯულიეტა. პაატა. თეა. ჯანიკო. ძმისშვილები: ზაური. როზა. ლადო. ნელი ესართიები, დისშვილი დათო სოსელია იუწყებიან

**შურა ილიას ასულ ესართია-გაგუას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 მარტს. გამოსვენება ზუგდიდი. ხორავას 14.

---

აკადემიკოს ანთელავას სახ. რესპუბლიკური სავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

**იურა აბიბოს ძე ბუაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: იაშა. მერი. იგორი. მზიური. რძლები: ლამარა ბულია. ნელი ლუკავა. საბრიე ფატლაძე. ჟანა ყორშია. სიძეები: ჯუმბერ დოლიძე. ბონდო ლემონჯავა. შვილიშვილები: მარინა. ოლა. ელგუჯა. თემურ რაზმაძეები. ჯემალი. ნონა. მამუკა დოლიძეები. ნინო. ნაირა. დილარი. ემა ლემონჯავები. ძმისშვილები: ფერიდე. ხუსა. გული. ნაზო. მაყვალა. ლუდმილა. ნუნუ აბდულოღლები. მაზლიშვილები: გული. ნარიკო. რევაზი. როლანდი. გული. სანდრო. ცისანა. ჯემალი. ინოლა რაზმაძეები. ჯემალი. შადიე, გული მაჭახელიძეები. შვილთაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ასიე ხუსეინის ასულ აბდულოღლი-რაზმაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1. 2 მარტს. დაკრძალვა 3 მარტს ს. ანაკლიაში.

---

მეუღლე შიშა. შვილები: მერი. გონელი. ძმა ბიჭიკო. და რაისა, რძლები: ნაზო კვიკვინია. ნაზო შულაია, ნანი კარტოზია, მაზლი ბოჩო. სიძე ჟორა შარაბიძე. გერონტი შელია. შვილიშვილები: ირმა. ვეფხვია. ჯონი, პაატა შარაბიძეები. მალხაზი. ირმა გვარამიები. დისშვილები: კოტე. მაურა. სულიკო აბრალავები. მთვარისა. მურმანი. მზია. ლიანა. ფლორა შელიები. ძმისშვილები: ნუნუ. დალი. ლეილა, დოდო. ზაირა. გუგუ. ინეზა. იანელა. მალინა. ელისო. მამიდაშვილები. დეიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**გოგო ეგნატეს ასულ კვიკვინია-გვარამიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2. 3 მარტს. დაკრძალვა 5 მარტს. გამოსვენება ინგირი. წერეთლის ქ. 44.

---

შვილები: ანზორი. იგორი. მერი. და ნორა. მაზლები: მიშა. ვალოდია. ვალერი ოყუჯავები რძლები მერი შენგელია. ციური ნაჭყებია. თამარა ჰეჩია. მარო კაკულია. სიძეები: მურმან ლომსიანიძე, გოგი ჯინჯორია. შვილიშვილები: ანჟელა. გელა. ლევანი. სოფიკო ოყუჯავები. ბესიკი. სოფიკო ლომსიანიძეები. დისშვილები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**გოგუცა ივანეს ასულ ენდელაძე-ოყუჯავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28 თებერვალს. დაკრძალვა 2 მარტს. გამოსვენება ზუგდიდი. კოსმონავტების 25.

---

დედა პარასკევა. ძმა როინი. დები: თინა. ლონდა. რძალი ნანა ლაპავა. სიძეები გვანჯი ციმინტია. ალიკო ხასაია. ძმისშვილები: ბრიჯიტა. ედუარდი. დისშვილები: რუსიკო ციმინტია. გელა. მერაბი ხასაიები. მამიდა ვარვარა. ბიძები: კაჯი თირქია. ბესარიონ ფაჟავა. ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან

**ალიკო აკაკის ძე თირქიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28 თებერვალს. 1. 2 მარტს. დაკრძალვა 3 მარტს. გამოსვენება 17 საათზე ზუგდიდი, გორკის ქ. 8.

---

ძმა ბიქტორი ესართია. რძალი მარო ფარცვანია შვილებით სვეტლანა, მიმოზა და როლანდ ესართიებით, რძლები სვეტლანა ფაცაცია, ლენა როგავა. სიძე ბორის ჯიქია. შვილთაშვილები: გიგა ჯიქია. ნინო. სოფიკო. ირაკლი ესართიებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუბა უტუს ასული ესართია-ლათათია.**

---

დედა ქიქინო. მამა გვანჯი. მეუღლე ლალი. და გულნაზი. ძმა კიაზო. ცოლისდები დალი. ლია. ნანა. სიდედრი ნათელა. სიმამრი გიული ბიგვავები. დეიდები: ნუცა. თალიკო ჯოლოგუები. ბიცოლები: ნინა. ნუნია. და ვანელა. დისშვილი ნანა ბენდელიანი. ძმისშვილები: ილია. იკა. სიძე მანუჩარ კვარაცხელია. ქვისლი თენგიზ ხუფენია. რძალი მაია ხვიტია. ბიძაშვილები. დეიდაშვილები. მამიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ზური გვანჯის ძე ჯოლოგუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28 თებერვალს. 1, 2 მარტს. დაკრძალვა 3 მარტს. გამოსვენება ზუგდიდი. ოდესის 21.

---

დედა ვალია. მამა გრიშა. ძმა სერგო. რძალი ნინო ნაჭყებია. ბიძები: შაქრო. ნოდარი, მელენტი. მამიდები თამარა. ფუშუ. ნაზო. ინალი. ბიძაშვილები მერაბი. ვახო, ნანა. კობა. ნანა. თემური. თეა ლაგვილავები. მამიდაშვილები: ციცო, მზიური. ლამზირა. მთვარისა. ზაური. ფატიმა. გოჩა. შორენა. მურმანი. გოგი. ნატო. ახლო ნათესავები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**გიორგი (გენა) გრიგოლის ძე ლაგვილავა.**

პანაშვიდი 28 თებერვალს. 1 მარტს. დაკრძალვა 2 მარტს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. სვერდლოვის ქ. 36.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-06 ხოთლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 განყოფილების 2-25-12 კორექტორი 2-47-09

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-28-07 ტირაჟი 2000 შეკ. №599